ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2838040

ნომერი: AR1440801

თარიღი : 15.09.2016

გაცემის თარიღი : 15.09.2016

გაცნობის თარიღი : 15.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭყონდიდელი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჟორჟოლიანი პ/ნ 01015005853
- თბილისი ი.და ნ.ნაკაშიძეების შეს. N 5

ორგანიზაცია:

- შპს "გრადბურგ დეველოპმენტი" კოდი: 404497656

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 15 სექტემბრის №AR1440801 განცხადებით მომართა ირაკლი ჟორჟოლიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.12.024.193), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომითაა დაფიქსირებული საერთო ფართობი და საცხოვრებელი ფართობი. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 1759.6 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 1751,4 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი ნაცვლად 2788.2 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 2780 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:2780, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:1751,4. სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის №2200582 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.